

ს(ს)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორთა სამსახურში მისაღებად რექტორის მოვალეობის შემსრულებლის N104/01-01 (22.06.2016) ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული ინტერდისციპლინური (ფიზიკა) ბიოფიზიკის კათედრაზე კონკურსის წარმოების დოკუმენტაციის კონკურსის ჩატარების მოქმედ წესთან სრულ შესაბამისობაში მოყვანისა და უნივერსიტეტის იურიდიული დეპარტამენტის მიერ გამოვლენილი ხარვეზების გათვალისწინების მიზნით 2016 წლის 31 ოქტომბრის აკადემიური საბჭოს #126/2016 დადგენილების საფუძველზე შექმნილი კომისიის

#### #8 ოქმი (შემაჯამებელი ოქმი)

17 იანვარი, 2017

სხდომას კომისიის 7 წევრიდან ესწრებოდა 6 წევრი: 1. ალექსანდრე შენგელაია - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე); 2. დიანა ძიძიგური - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე); 3. მაგდა ალანია - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის მდივანი); 4. ნელი საპოჟნიკოვა - ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი; 5. ედუარდ ჩიკვაძე - თსუ-ს ემერიტუს პროფესორი; 6. ოლეგ ხარშილაძე - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

#### დღის წესრიგი:

1. 2016 წლის 31 ოქტომბრის თსუ აკადემიური საბჭოს #126/2016 დადგენილების საფუძველზე შექმნილ კომისიაზე დაკისრებული დავალების - ინტერდისციპლინური (ფიზიკა) ბიოფიზიკის მიმართულების ასისტენტ-პროფესორის სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის წარმოების დოკუმენტაციის კონკურსის ჩატარების მოქმედ წესთან სრულ შესაბამისობაში მოყვანა უნივერსიტეტის იურიდიული დეპარტამენტის მიერ გამოვლენილი ხარვეზების გათვალისწინებით.

**მოისმინეს:** საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ პროფესორმა ალექსანდრე შენგელაიამ კომისიის წევრებს შეახსენა ინფორმაცია 2016 წლის 31 ოქტომბრის თსუ აკადემიური საბჭოს #126/2016 დადგენილების თაობაზე, რომლის საფუძველზეც შექმნილ კომისიას დაევალა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორთა სამსახურში მისაღებად რექტორის მოვალეობის შემსრულებლის N104/01-01 (22.06.2016) ბრძანების საფუძველზე ინტერდისციპლინური (ფიზიკა) ბიოფიზიკის მიმართულების ასისტენტ-პროფესორის სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის წარმოების დოკუმენტაციის კონკურსის ჩატარების მოქმედ წესთან სრულ შესაბამისობაში მოყვანა უნივერსიტეტის იურიდიული დეპარტამენტის მიერ გამოვლენილი ხარვეზების გათვალისწინებით.

კომისიისთვის დასახმარებლად გამოყოფილი იურიდიული დეპარტამენტის თანამშრომელთან კონსულტაციის შემდეგ გადაწყდა, რომ შემაჯამებელ ოქმში დაწვრილებით აისახოს კონკურსანტების როგორც ანკეტური მონაცემების ანალიზის შედეგები ისე გასაუბრების დეტალები.

კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ამ გადაწყვეტილებას. მოისმინეს სხდომის მდივნის ასოც. პროფ. მაგდა ალანიას ინფორმაცია ორივე კონკურსანტის ანკეტური მონაცემების შეფასებასთან დაკავშირებით. აღინიშნა, რომ

**1. კონკურსანტი დავით სვინტრამის** შეფასების ფორმიდან გამომდინარე, პირველი კატეგორიის მიხედვით კომისიამ ერთხმად ჩათვალა, რომ დავით სვინტრამის კვალიფიკაცია აკმაყოფილებს კონკურსის მოთხოვნებს, რადგან ამ კატეგორიის 4 პუნქტის - 1.1-განათლება, 1.2 - აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, 1.3 - სამსახურებრივი გამოცდილება და 1.4. - პედაგოგიური სტაჟი მიხედვით კომპლურსანტმა მიიღო დადებითი შეფასებები.

მეორე კატეგორიაში კონკურსანტმა დააკმაყოფილა 2.1 პუნქტი, რომელიც ითვალისწინებს პედაგოგიურ გამოცდილებას. რაც შეეხება 2.2 პუნქტს, რომელიც უნდა ასახავდეს კონკურსანტის სასწავლო-მეთოდურ საქმიანობას, დავით სვინტრამემ მიუთითა მხოლოდ სხვა ავტორების სახელმძღვანელოები და არც ერთი საკუთარი სასწავლო-მეთოდური საქმიანობის ამსახველი მასალა.

მეორე კატეგორიის 2.3 პუნქტში კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსებისა და ტრენინგების შესახებ არ იყო მითითებული ინფორმაცია.

მეორე კატეგორიის 2.4 პუნქტში მითითებულია სამი სასწავლო კურსის დასახელება, რომელიც შესაბამისობაშია თსუ-ში მოქმედ სასწავლო პროგრამების სასწავლო კურსებთან. რაც შეეხება სასწავლო კურსს „კლასიკური მექანიკა“, რომელიც ფიგურირებს პირველი კომისიის შეფასების ფორმის 2.4 პუნქტში, აღმოჩნდა შეცდომით შეტანილი, რადგან დავით სვინტრადეს ეს სასწავლო კურსი არ ჰქონდა ანკეტის 2.4 პუნქტში მითითებული და საბუთებში იძებნება მხოლოდ ამ დასახელების სილაბუსი.

მეორე კატეგორიის 2.5 პუნქტში, რომელიც ეხება წარმოდგენილ სილაბუსებს, კონკურსანტს მითითებული აქვს ერთი კურსი და წარმოდგენილი აქვს შესაბამისი სილაბუსი, რომლის შინაარსი და ფორმა შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს.

მეორე კატეგორიის ხუთი პუნქტიდან კონკურსანტი დავით სვინტრადემ ვერ დააკმაყოფილა ორი პუნქტი. განსაკუთრებით სერიოზულ ხარვეზად კომისიამ მიიჩნია სასწავლო-მეთოდოლოგიურ საქმიანობაში სხვისი სახელმძღვანელოების მითითება. ამიტომ კომისიამ ღია კენჭისყრის საფუძველზე მეორე კატეგორიაში კონკურსანტს მიანიჭა შეფასება „საშუალო“.

მესამე კატეგორიის 3.1. პუნქტში იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციების ჩამონათვალში კონკურსანტს მითითებული აქვს 24 პუბლიკაცია. ანკეტაში მითითებული ყველა პუბლიკაცია იძებნება Google scholar-ში. მითითებული 24 პუბლიკაციიდან 12 არის სამეცნიერო სტატია, ხოლო 12 თეზისი. მათგან მხოლოდ 8 სამეცნიერო სტატია და 7 თეზისი იძებნება Thomson Reuter-ის ბაზაში ანუ არის იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში დაბეჭდილი. აღსანიშნავია, რომ თეზისებთან არ არის მითითებული სპეციალური ინდექსი, რაც განასხვავებს თეზისის სტატიისაგან.

აღსანიშნავია, რომ კონკურსანტს ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს მხოლოდ ერთი სტატია იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში, რაც არ არის მაღალი მაჩვენებელი.

მესამე კატეგორიის 3.2 პუნქტში კონკურსანტს მითითებული აქვს ერთი სტატია.

ამ კატეგორიის 3.3 პუნქტით გათვალისწინებული პატენტები კონკურსანტს არ აქვს.

მე-3 კატეგორიის 3.4 პუნქტში მითითებული ინფორმაციის თანახმად კონკურსანტის ციტირების ინდექსი არის 194. კომისიის მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად დავით სვინტრადის ციტირების ინდექსი Google scholar-ის მიხედვით არის 161, h-ინდექსი 6. Publish of Perish-ის მიხედვით ციტირების g-ინდექსი არის 12. Thomson Reuter-ის მიხედვით ციტირების ინდექსი არის 104, მათ შორის თვითციტირების გარეშე 94, ხოლო h-ინდექსი 6.

კონკურსანტის ანკეტაში ციტირების ინდექსთან მითითებულია google scholar, scopus, ISI web of science extended. აქაც კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ როგორც წესი ყველაზე მაღალ ციტირების ინდექსს აჩვენებს google scholar-ი, ამიტომ გაუგებარია კონკურსანტის მიერ მითითებული ციტირების ინდექსის მაჩვენებელი -194 როგორ იქნა მოპოვებული და რატომ აღემატება კომისიის მიერ მოპოვებულ მაჩვენებლებს.

მესამე კატეგორიის 3.5 პუნქტში, სადაც კონკურსანტს უნდა მიეთითებინა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა ბოლო 6 წლის განმავლობაში, კონკურსანტს მითითებული აქვს 3 კონფერენცია, რომელთაგან საერთაშორისო არის მხოლოდ ერთი. დანარჩენი ორი არის თსუ-ში ჩატარებული საფაკულტეტო კონფერენციები. იგივე კატეგორიის 3.6 პუნქტში წარმოდგენილია ორი მოხსენება.

3.7 პუნქტის მიხედვით ბოლო 6 წლის განმავლობაში არ ფიქსირდება კონკურსანტის მონაწილეობა საგრანტო ან სახელშეკრულებო პროექტებში.

მესამე კატეგორიის 3.1 პუნქტში „თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან“ მითითებულია ერთი სამეცნიერო ცენტრი, კერძოდ - Institute for Structural Biology and Drug Discovery, Virginia Commonwealth University (USA).

მესამე კატეგორიის 3.9 პუნქტში კონკურსანტის მიერ მითითებული იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში გამოქვეყნებული ერთი ნაშრომი შეესაბამება ვაკანსიის პროფილს.

მესამე კატეგორიის 3.8 პუნქტის თანახმად ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველმა უნდა წარმოადგინოს სამოტივაციო წერილი. რადგან კონკურსანტ დავით სვინტრადის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის სათაურია სამეცნიერო კვლევების კონცეფცია/სამოტივაციო წერილი, კომისიისთვის გაუგებარია, რა წარმოადგინა ავტორმა. წერილის შინაარსის ანალიზი აჩვენებს, რომ ეს არის უფრო მეტად სამეცნიერო კვლევების კონცეფცია, რომელიც შეიცავს ბევრ უზუსტობას და შემოიფარგლება ზოგადი ფრაზებით, განსაკუთრებით ბიოლოგიის ნაწილში. რაც შეეხება ფიზიკურ ნაწილს, აქაც არის მხოლოდ ზოგადი ფრაზები, რომელთა ღრმა ანალიზი შეუძლებელია. წერილში მოტივაცია ნახსენებია მხოლოდ ერთხელ, მაგრამ სინამდვილეში არ ჩანს კონკურსანტის მოტივაცია ფაკულტეტის კვლევითი და სასწავლო პროცესის ხელშეწყობის კუთხით. წერილში არც ერთხელ არ არის ნახსენები სტუდენტი და სასწავლო პროცესი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე კომისიამ ერთხმად დაასკვნა რომ წარმოდგენილი დოკუმენტი როგორც სამოტივაციო წერილი არის უაღრესად სუსტი.

კომისიამ მიიღო რა მხედველობაში პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ პუბლიკაციებში უზუსტობები, მხოლოდ ერთი სტატია იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალში ბოლო 5 წლის განმავლობაში, საგრანტო პროექტების არარსებობა და ძალიან სუსტი სამოტივაციო წერილი, ღია კენჭისყრის საფუძველზე მე-3 კატეგორიის ორივე ნაწილში კონკურსანტს მიენიჭა შეფასება "საშუალო".

მე-4 კატეგორიის 4.1 პუნქტში კონკურსანტს მითითებული აქვს 1 სამოგზაურო გრანტი. 4.2 პუნქტში - 1 სამაგისტრო და 4 საკურსო ნაშრომი, რომელშიც ალბათ იგულისხმება საბაკალავრო ნაშრომები. სამწუხაროდ არ არის მითითებული ნაშრომების დასახელება და შემსრულებლები. 4.3 პუნქტში მითითებულია სტუდენტების საკონფერენციო თემების ხელმძღვანელობა. თუმცა აქაც არ არის დაზუსტებული რაოდენობა, სათაურები და სტუდენტები.

მე-4 კატეგორიაში წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე კომისიამ ღია კენჭისყრის საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება ორივე ნაწილში კონკურსანტს მიენიჭა შეფასება "საშუალო".

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, კონკურსანტს მიენიჭა პრეტენდენტის სტატუსი და გამოძახებული იქნა გასაუბრებაზე. მიმდინარე წლის 13 იანვარს, დავით სვინტრამეს გასაუბრებაზე მიეცა კონკრეტული შეკითხვები.

კომისიის თავჯდომარე: გამარჯობათ, გთხოვთ დაბრძანდეთ. დაახლოებით 20 წუთი გვაქვს რომ კომისიის წევრებმა დაგისვან კითხვები და მიიღონ პასუხები მათთვის საინტერესო საკითხებზე. ერთი რაც გვინტერესებს კომისიის წევრებს ეს არის თქვენი სამოტივაციო წერილი. თქვენ უფრო სამეცნიერო კვლევების კონცეფცია გაქვთ წარმოდგენილი ვიდრე სამოტივაციო წერილი. შეგიძლიათ გვითხრათ ამიტომ რა არის თქვენი მოტივაცია, რომ დაიკავოთ ასისტენტ-პროფესორის თანამდებობა უნივერსიტეტში.

**კონკურსანტი:** პირადად მიმაჩნია, რომ ნებისმიერი მეცნიერის, ეს იქნება დამწყები თუ უკვე ჩამოყალიბებული, მისი მოტივაცია არის მისი კონცეფცია. ამიტომ მაქვს ჩამოყალიბებული კონცეფციის სახით. როგორც ვხედავ, ამან გარკვეული გაუგებრება გამოიწვია. ჩემთვის კონცეფცია და ჩემი მოტივაცია ერთი და იგივეა. ჩემი უნივერსიტეტში მოსვლის ან აკადემიაში მუშაობის მოტივაცია იყო ჩემი სამეცნიერო კონცეფცია. რატომ გამოიწვია გაუგებრობა, ჩემთვის გაუგებარია.

**თავჯდომარე:** სამეცნიერო კონცეფცია სხვა არის. მაგალითისთვის, უნივერსიტეტი არის სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულება, მაგრამ არის სუფთა აკადემიური დაწესებულებები, სადაც მხოლოდ სამეცნიერო კვლევა წარმოებს. მაგრამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულება, სადაც საჭიროა სტუდენტებთან მუშაობა. თქვენს წერილში საერთოდ არ არის ნახსენები სტუდენტები. ახლა გაქვთ შესაძლებლობა, რომ ჩამოაყალიბოთ სიტყვიერად თქვენი მოტივაცია.

**კონკურსანტი:** მე მეხალისება სტუდენტებთან მუშაობა. პედაგოგიურ ასპექტში ჩემი მოტივაცია იყო, გადამეცა სტუდენტებისთვის ჩემი გამოცდილება, რომელიც მე მივიღე წამყვან უნივერსიტეტში საზღვარგარეთ. მეორე მოტივაცია იყო, ჩემი საქართველოში ჩამოსვლის დღიდან ახალი მიმართულება განვახდინო, რასაც ჰქვია თეორიული ბიოფიზიკა. საქართველოსთვის არის ახალი. მსოფლიოში ეს არ არის ახალი მიმართულება. სტუდენტებს რაც შეეხება, ყოველთვის მეხალისებოდა და მიხაროდა მათთან ურთიერთობა.

**თავჯდომარე:** თქვენ გაინტერესებთ სტუდენტებთან სასწავლო პროცესის წარმართვა, ლექციების ჩატარება.

**კონკურსანტი:** ჩემი ძირითადი მოტივაცია იყო ლექციების წარმართვა, თუმცა როცა ჩამოვედი დამავალეს პრაქტიკულების წაყვანა. ლექციები წავიკითხე მარტო პირველ წელს.

**წელი საპოზნიკოვა:** რომელი შიდაგომები და მეთოდები გინდოდათ გამოგვეჩვენებინათ სწავლების დროს?

**კონკურსანტი:** მე ჩამოვყალიბდი როგორც მეცნიერი ამერიკაში, ამიტომ იმ მეთოდოლოგიას მივყავი, რომელიც იქ აქვთ. სამწუხაროდ აქ არ არის ამ მეთოდების გამოყენების შესაძლებლობა. აქ ესაუბრობთ სასწავლო მეთოდებზე. მაგალითად, მაქვს რამოდენიმე სასწავლო პროგრამა, ჩამოვიტანე ამერიკიდან. მაგრამ სასურველია ყველა სტუდენტს ჰქონდეს ეს პროგრამა თავის კომპიუტერში.

**თავჯდომარე:** რას აკეთებს ეს პროგრამა.

**კონკურსანტი:** მაგალითად, სტუდენტს მინდა გავაგებინო როგორია ცილის სტრუქტურა, მისი პირველადი, მეორეული, მესამეული, მეოთხეული სტრუქტურები. როგორ ვიპოვოთ სხვადასხვა ამინომჟავები ამ ცილებში. როგორ მოვახდინოთ იდენტიფიცირება მეორადი სტრუქტურების, ცილების სტრუქტურების შედარება. ცილისთვის ეს არის ანბანი იქ. აქ ამის გაკეთების შესაძლებლობა არ გვქონდა. ვაჩვენებდი კიდევაც სტუდენტებს ჩემი კომპიუტერით, როცა მქონდა შესაძლებლობა.

**დიანა ძიძიგური:** თქვენ ეხლა ბრძანეთ, რომ ეს სტრუქტურები არის ანბანი ცილის. თქვენ იმას ხომ არ ამტკიცებთ, რომ ჩვენ დღეს საქართველოში ვერ ვასწავლით ცილის სტრუქტურებს? რატომ არ არის შესაძლებლობა, რომ სლაიდშოუში ავუსხნათ ეს სტრუქტურები?

**კონკურსანტი:** მე არ მითქვამს რომ ვერ ვასწავლი, მაგრამ შეზღუდულია ჩემი შესაძლებლობები. მე არ მქონდა ამის შესაძლებლობა. იმისათვის რომ სტუდენტმა სრულყოფილად გაიგოს, სასურველია ასეთი მეთოდების ჩანერგვა.

**თავჯდომარე:** ამას რა ჭირდება კომპიუტერი, ლეპტოპი, პროექტორი, რომელიც არის დეკანატში?

**კონკურსანტი:** ლექციების დროს ეგ შეიძლება გამოიყენო, მაგრამ პრაქტიკულის დროს ეს მოუხერხებელია.

**დიანა ძიძიგური:** მაშინ რას აკეთებდით პრაქტიკულებზე?

**კონკურსანტი:** მე არ მომეთხოვებოდა ეს პრაქტიკულებზე.

**თავჯდომარე:** ე.ი. არ იყო საჭირო

**კონკურსანტი:** თქვენ მეკითხებით, რას შემოიტანდით და მე ამას შემოვიტანდი.

**ნელი საპოჟნიკოვა:** ალბათ ეს პროგრამები დიდ მუხსიერებას იკავებს, ამას სჭირდება მძლავრი კომპიუტერი?

**კონკურსანტი:** არა, მძლავრი არა. ეს არის სამგანზომილებიანი ვიზუალიზაცია ცილების.

**დიანა ძიძიგური:** რა თქმა უნდა სამგანზომილებიან და ოთხგანზომილებიან სტრუქტურებს სჭირდება სპეციალური პროგრამები

**კონკურსანტი:** სასურველია ისეთი ტექნოლოგიები გვექონდეს როგორც იქ არის.

**დიანა ძიძიგური:** ბიოლოგებთან სამ და ოთხგანზომილებიანი სტრუქტურების სწავლება ხდება უპრობლემოდ და აქ რატომ ვერ ხდება, გაუგებარია ჩემთვის. ბიოლოგები ვასწავლით სივრცით მოდელირებებს.

**კონკურსანტი:** ჩემს შემთხვევაში მარტო ცილა ხომ არ არის. ამაზე შეიძლება დავხარჯო ლექციის 25%. შემდეგ უნდა გადავიდე სხვა აქტივობაზე. მაგალითად სტუდენტების მოსმენაზე...

**დიანა ძიძიგური:** მე თუ სწორად გავიგე, თქვენ გაქვთ პრეტენზია წაიკითხოთ ლექციები და პრაქტიკულები თქვენი ინტერესის სფერო არ არის?

**კონკურსანტი:** მე ასეთი რამ არ მითქვამს, რომ მხოლოდ ლექცია წამაკითხეთ და პრაქტიკულს ნუ წამაკითხებთ-თქო. ჩემი დატვირთვის 100% იყო პრაქტიკული.

**დიანა ძიძიგური:** დასაწყისში ალბათ უპრიანია, როცა ჩამოდის ადამიანი, რომელსაც არ იცნობენ, შეიძლება პედაგოგიური გამოცდილება არც ისე დიდი ჰქონდეს დაიწყოს აქედან.

**ედუარდ ჩიკვაძე:** მე მახსოვს რომ ასისტენტს ლექციას არ აკითხებდნენ. ჯერ უნდა მიეღო გამოცდილება პრაქტიკულ მეცადინეობებზე. მე მიმაჩნია, რომ 2-3 წელი ჭირდება, რომ დახვეწო ლექცია. ლექციის წაკითხვა ეს არის დინამიური და რთული პროცესი. პრაქტიკულში უნდა მოხდეს იგივე საკითხების განხილვა, რაც იკითხება ლექციაზე. მხოლოდ რეალიზებული ამოცანებში. მიმაჩნია, რომ თუ ადამიანს არ აქვს დიდი გამოცდილება, აჯობებს დაიწყოს პრაქტიკულით. ეს იქნება მისთვის სასარგებლოდ შემდგომი განვითარებისთვის.

**კონკურსანტი:** ასისტენტი არსებითად განსხვავდება ასისტენტ-პროფესორისაგან. მე კარგად ვიცი, იმიტომ რომ ყველა ეს პროცესი ამერიკაში გავიარე. სანამ ჩამოვიდოდი, მე იქ ასისტენტ-პროფესორი ვიყავი. თუმცა არ ვიყავი შტატში.

**თავჯდომარე:** ლექციებს კითხულობდით?

**კონკურსანტი:** სტუდენტები მყავდა, მაგრამ ლექციებს არ ვკითხულობდი. პედაგოგიური გამოცდილება მქონდა.

**დიანა ძიძიგური:** ე.ი. გამოცდილება არ გქონდათ ლექციების წაკითხვის.

**კონკურსანტი:** ლექციის წაკითხვის გამოცდილება მანამდე მქონდა, სანამ წავიდოდი. 2 კურსი წავიკითხე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში

**თავჯდომარე:** ეს საკითხი გასაგებია. თქვენ გაქვთ წარმოდგენილი ვრცელი სია პუბლიკაციების. კომისიას რამოდენიმე კითხვა გაუჩნდა ამასთან დაკავშირებით. ამ პუბლიკაციების ძალიან დიდი ნაწილი არის კონფერენციების აბსტრაქტები. ეს აბსტრაქტები არის სულ რაღაც ერთი პარაგრაფი. თქვენ როგორც მეცნიერს მიგაჩნიათ, რომ ეს კონფერენციის აბსტრაქტი არის სამეცნიერო პუბლიკაცია?

**კონკურსანტი:** როგორც პუბლიკაცია მიმაჩნია, მაგრამ როგორც სტატია არა.

**თავჯდომარე:** ანუ რასაც გამოაქვეყნებთ ყველაფერი პუბლიკაციაა?

**კონკურსანტი:** დიახ. მე ასე მესმის.

**თავჯდომარე:** დავუშვათ მეცნიერის დაბადების დღის მისალოცად ერთი პარაგრაფი რომ დავწეროთ ესეც პუბლიკაციაა?

**კონკურსანტი:** ამას მონოგრაფიას უფრო უწოდებენ.

**თავჯდომარე:** თქვენს მასწავლებელს შეუსრულდა 80 წელი და თქვენ გაზეთში დაბეჭდეთ ერთი პარაგრაფი, ეს პუბლიკაციაა?

კონკურსანტი: ეს არის მონოგრაფია.

თავჯდომარე: მონოგრაფია წიგნია. და ამას შეიტანდით თქვენს სამეცნიერო პუბლიკაციებში?

კონკურსანტი: არ შევიტანდი.

თავჯდომარე: სამომავლოდ გაითვალისწინეთ, მიუთითოთ რომ ეს კონფერენციის აბსტრაქტებია, რომ დამატებით კომისიის წევრებს არ მოუწიოთ ამის შესწავლა.

კონკურსანტი: ჩემს პირად CV-ში ესენი გამოყოფილია. ანკეტაში არ არის. ანკეტაში წერია უბრალოდ პუბლიკაციები.

თავჯდომარე: ჩნდება შთაბეჭდილება, რომ ძალიან ბევრი სტატიაა.

კონკურსანტი: აბსტრაქტი არის 13.

თავჯდომარე: კიდევ არის ერთი ნიუანსი, რომელიც შეიძლება არ იყოს მნიშვნელოვანი, მაგრამ მაინც უნდა გკითხოთ: აბსტრაქტებში გვერდებთან თვითონ ჟურნალი უთითებს A-ს. ეს A თქვენს პუბლიკაციებში არ არის. თქვენ ეს ამოიღეთ სპეციალურად, შემთხვევით თუ როგორ გავიგოთ?

კონკურსანტი: არა, ესეთ მომენტებს არ ვაქცევ ყურადღებას.

თავჯდომარე: გასაგებია, მაგრამ რატომ არ გადმოიტანეთ ეს A?

კონკურსანტი: იმიტომ, რომ იქ მითითებული მაქვს გვერდი და იქ თვითონ აბსტრაქტს უწერია A.

თავჯდომარე: ტომსონის ბაზაში მითითებულია და თქვენ ეს ამოღებული გაქვთ.

კონკურსანტი: ჩემს CV-ში A-ს ვუწერ.

თავჯდომარე: ანუ თქვენ ეს შემთხვევით ამოგივარდათ.

კონკურსანტი: დიახ

თავჯდომარე: კიდევ არის ესეთი კითხვა, ანკეტაში არის კატეგორია სამეცნიერო პუბლიკაციები იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში კონკურსანტის შეხედულებისამებრ. აქ არის ჩამოთვლილი ეს პუბლიკაციები. თქვენ თვლით რომ ესენი ყველა არის იმპაქტ ფაქტორის მქონე?

კონკურსანტი: რა თქმა უნდა, იმიტომ რომ იგივე ჟურნალშია დაბეჭდილი. იგივე ციტირების ინდექსი აქვს.

თავჯდომარე: მაგალითად ამ სიაში აგრეთვე მითითებულია 2004 წლის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ მოამბის პუბლიკაცია. თქვენ თვლით, რომ ის არის იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალი? აქ გიწერიათ იმპაქტ-ფაქტორი 1.

კონკურსანტი: მაგიტომ დავეწერე 1, რომ ვერ მოვიძიე.

თავჯდომარე: ეს 1 რის საფუძველზე დავეწერეთ?

კონკურსანტი: ეს სტატია ჩემი ინიციატივით არ გამოქვეყნებულა მაგ ჟურნალში, ჩემმა ხელმძღვანელმა მიიტანა. მაშინ იყო საუბარი, აქვს თუ არა მოამბეს იმპაქტ-ფაქტორი და თვითონ გადაწყვიტეს 1.

თავჯდომარე: თქვენ ამერიკაში მუშაობდით, გაქვთ წვდომა სამეცნიერო ბაზებთან

კონკურსანტი: იქ არ მივუთითებ, რომ მაგას აქვს იმპაქტ-ფაქტორი.

თავჯდომარე: იქ თუ არ მიუთითებთ, ჩვენთან რატომ უთითებთ, რომ ამას აქვს იმპაქტ-ფაქტორი?

კონკურსანტი: იმიტომ რომ აქ ვერც ჩათვალეს. ჩემთვის არ აქვს.

თავჯდომარე: მაშინ დავსვამ ასეთ კითხვას, მაშინ ანკეტაში რატომ მიუთითეთ იმპაქტ-ფაქტორი? რომელ სამეცნიერო ბაზას ეყრდნობოდით?

კონკურსანტი: ქართულს.

თავჯდომარე: რომელია ეს ქართული სამეცნიერო ბაზა?

კონკურსანტი: თვითონ ჟურნალის ვებ-გვერდი. მოამბეს თვითონ უწერია 3 მთელი და რაღაცა.

თავჯდომარე: მაშინ 3 დაგეწერათ.

კონკურსანტი: მე არ ვთვლი, რომ მას აქვს 3.

თავჯდომარე: სინამდვილეში საერთოდ არ აქვს. ეს ხომ უნდა იცოდეთ. იმპაქტ ფაქტორს ვინ ანიჭებს ჟურნალს?

კონკურსანტი: ტომსონ-როიტერი.

თავჯდომარე: ტომსონში უნდა შეგემოწმებინათ.

კონკურსანტი: იქ არ არის.

თავჯდომარე: თქვენ მშვენივრად იცით, რომ რეალური იმპაქტ-ფაქტორი არის ტომსონის ბაზის მიხედვით. მე ესე გავაკეთებდი: ჯერ შევამოწმებდი ტომსონის ბაზაში და რომელიც იძებნება მხოლოდ იმას მივუთითებდი.

კონკურსანტი: მომავალში აუცილებლად ასე მოვიქცევი.

თავჯდომარე: მართა მოამბის პრობლემა არ არის, ჩვენ ვთხოვეთ სხვებს გადაემოწმებინათ და იქ აღმოჩნდა რამოდენიმე, რომლებიც არ იყო ტომსონის ბაზაში. ვთხოვთ, რომ მომავალში ეს გაითვალისწინოთ.

კონკურსანტი: აუცილებლად ამოვიღებ ქართულ პუბლიკაციებს. მთავარია რომ არსებობს და შევიტანე.

**თავჯდომარე:** ანკეტა სამართლებრივი დოკუმენტია და ამიტომ არასწორი ინფორმაცია, რომელიც შეცდომაში შეიყვანს შემფასებელს, არ უნდა იყოს მითითებული.

**კონკურსანტი:** ეგ რომ მცოდნოდა, არავითარ შემთხვევაში არ შევიტანდი. მე პირადად არც გამოვაქვეყნებდი მოამბეში. შერე არც გამომიქვეყნებია არასდროს. არც ქართულ ჟურნალში არ გამომიქვეყნებია.

**ოლეგ ხარშილაძე:** მე ეს კითხვა მაქვს, გამიკვირდა, რომ თქვით ამოვიღებდიო. მიგაჩნიათ თუ არა, რომ წამყვანი მეცნიერები დღეს უნდა ბეჭდავდნენ ქართულ სამეცნიერო ჟურნალებში?

**კონკურსანტი:** თუ ისეთივე რეცენზირებას გაივლის, როგორც გადის ჩვეულებრივი ჟურნალი, მაშინ კი.

**ოლეგ ხარშილაძე:** ჩვეულებრივი ჟურნალი რას ნიშნავს?

**კონკურსანტი:** მაგალითად გავაგზავნე სტატია Physical Review-ში, ჯერ განიხილავს რედაქტორი, შემდეგ რეცენზენტი.

**ოლეგ ხარშილაძე:** იქ შესაძლებლობები სხვა არის.

**კონკურსანტი:** რატომ სხვა? ინტერნეტი, ბაზა ყველასთვის ხელმისაწვდომია. ქართული ჟურნალებისთვისაც მათ შორის. მათაც შეუძლიათ იგივე პროცედურები გაიარონ, რასაც გადიან ჩვეულებრივი ჟურნალები.

**დიანა ძიძიგური:** კი ზოგიერთი გადის ნამდვილად. ბატონო დავით, მე მაქვს ესეთი შეკითხვა: სამოტივაციო წერილი და კონცეფცია როგორც თქვენ ჩამოაყალიბეთ, თითქოს ერთი და იგივეა, თუმცა ასე არ არის, აღინიშნა ეს კიდევ. მაგრამ რაც შეეხება სასწავლო-მეთოდურ საქმიანობას, რომელიც მითითებულია თქვენს ანკეტაში, რა არის თქვენი აზრით?

**კონკურსანტი:** გეტყვით, მე როგორ გავიგე. ანკეტაში წერია სასწავლო-მეთოდური საქმიანობა მათ შორის დამხმარე. დამხმარე მე გავიგე როგორც დამხმარე ლიტერატურა. ჩავწერე ყველა დამხმარე ლიტერატურა, რომელსაც ვიყენებ. სხვანაირად არავის აუხსნია.

**დიანა ძიძიგური:** თქვენ 4 წელი მოღვაწეობდით საქართველოში, იყავით ასიტენტ-პროფესორი ჩვენს უნივერსიტეტში. თქვენთვის არ იყო ეს პირველი კონკურსი. ანკეტის მიხედვით თქვენ გაქვთ დიდი გამოცდილება. თქვენ იყავით ამერიკაში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, ანკეტას პირველად არ უნდა ავსებდეთ. აქ უნდა ჩაგეწერათ, თუ თქვენ შექმენით სახელმძღვანელო. თქვენ რუბინის წიგნს თუ ასახელებთ, ე.ი. თქვენ არ გესმით. ეს ვერ დააზუსტეთ. უნდა გესმოდეთ, რომ ჩვენ გვიანტიერესებს თქვენი საქმიანობა და არა რუბინის. ძალიან გაუგებარია, რომ ამდენი ხანი თქვენ ეს არ იცით.

**კონკურსანტი:** მე ეს არ ვიცოდი. მე ანალოგიურად ჩავწერე პირველ კონკურსშიც და ამას ასეთი მწვავე რეაქცია არ მოჰყოლია.

**დიანა ძიძიგური:** ძალიან ცუდი, თუ მაშინ არ მიგანიშნეს.

**კონკურსანტი:** მე ესე გავიგე

**დიანა ძიძიგური:** გყავთ კათედრაზე კოლეგები, მიმართულების ხელმძღვანელი. თუ ასეთი საექვოა, უნდა გაიაროთ კონსულტაციები. ანკეტიდან ჩანს, რომ თქვენ გაქვთ საკმაო გამოცდილება. მაგრამ მაინც ასეთი უზუსტობაა, რაც ძალიან სამწუხაროა.

**კონკურსანტი:** რაც შეეხება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს, იქ ასეთი ანკეტა არ მოეთხოვებათ.

**თავჯდომარე:** გასაგებია, კიდევ ხომ არ არის რაიმე კითხვები? თუ კითხვები არ არის, თქვენ ხომ არ დაამატებდით რაიმეს?

**კონკურსანტი:** ჩემი მოტივაცია საქართველოში ჩამოსვლის დღიდან იყო ის, რომ პირველი, როგორმე გადმომეცა ჩემი გამოცდილება სტუდენტებისთვის და მეორე ჩამომეყალიბებინა სრულიად ახალი მიმართულება საქართველოსთვის, რასაც თეორიული ბიოფიზიკა ჰქვია და რომელიც ძალიან ბევრს არ მოსწონს. ერთ რაღაცაზე ეჭვი არ არსებობს ფიზიკოსებს შორის, თეორიული ბიოფიზიკა დგას ფიზიკის ერთ-ერთ წამყვან როლში.

**თავჯდომარე:** ნებისმიერი მიმართულება, თუ მას სერიოზულად მიყვები და განავითარებ არის დასაფასებელი და საჭირო.

**ნელი საპოჟნიკოვა:** როგორც ექსპერიმენტული ბიოფიზიკისათვის ისე თეორიული ბიოფიზიკისთვისაც საჭიროა ძალიან სერიოზული ტექნიკური ბაზა, მძლავრი კომპიუტერები. არ არის ადვილი ამის გაკეთება. უნდა დამუშავდეს სხვადასხვა მონაცემები.

**კონკურსანტი:** მე თვითონ გამიკეთებია ასეთი ექსპერიმენტები. ვიცი კრისტალოგრაფიაც, რა რესურსები ჭირდება. მთელი ოთახი მუშაობდა მაგაზე.

**თავჯდომარე:** კარგი ბატონო დავით, მადლობა.

**კონკურსანტი:** ერთს დავამატებდი. მე ამერიკაში მივდივარ თებერვალში და იქნებ ეს ყველაფერი მოგვარდეს მანამდე.

კომისიის წევრების მიერ აღინიშნა, რომ გასაუბრებამ ვერ აღმოფხვრა ის ხარვეზები, რომელიც დაფიქსირდა პირველ ეტაპზე ანკეტური მონაცემების შესწავლის დროს. კომისიის წევრის ედუარდ

ჩიკვაძის მიერ აღინიშნა, რომ კონკურსანტი არის ზედმეტად ამბიციური, რადგან მას არ აკმაყოფილებს პრაქტიკულ მეცადინეობების წაყვანა. ზოგადად ამბიცია კარგია, მაგრამ დასაწყისშივე ლექციების წაყვანა არ არის მიზანშეწონილი. ამას სჭირდება დრო და გამოცდილება.

1. კონკურსანტი მარიამ ხვედელიძის შეფასების ფორმიდან გამომდინარე, აღინიშნა, რომ პირველი კატეგორიის 1.1 პუნქტის განათლების შესახებ მარიამ ხვედელიძეს ანკეტაში მითითებული აქვს, რომ 1982-1987 წ.-ში იგი სწავლობდა ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შედეგად მიიღო კვალიფიკაცია ფიზიკოსი, ბიოფიზიკოსი. თუმცა მის მიერ მოწოდებულ დოკუმენტებში დიპლომის ასლი არ არის წარმოდგენილი. კომისიის წევრმა ოლეგ ხარშილაძემ, რომელიც აგრეთვე იყო პირველი კომისიის წევრიც, აღნიშნა, რომ ეს საკითხი დადგა პირველი კომისიის წინაშეც, ამიტომ პირველმა კომისიამ მეორე ეტაპზე მოთხოვა მარიამ ხვედელიძეს წარმოედგინა ეს საბუთი, რაც მან წარმოუდგინა პირველ კომისიას. აქედან გამომდინარე 1.1. პუნქტის მიხედვით კონკურსანტმა მიიღო დადებითი შეფასება.

კომისიის თავჯდომარის მოადგილემ აღნიშნა, რომ 1.2 პუნქტი, რომელიც ეხება კონკურსანტის სამეცნიერო ხარისხს პირველმა კომისიამ შეაფასა უარყოფითად, რადგან წარმოდგენილ საბუთში ფიქსირდება ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, თუმცა შიფრი შეესაბამება ბიოფიზიკას. ამასთან დაკავშირებით კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ბევრი გაუგებრობაა, რადგან იმ დროს ბიოფიზიკას ჰქონდა ერთი შიფრი მიუხედავად იმისა ბიოლოგიის თუ ფიზიკის მიმართულებით ხდებოდა დაცვა.

კომისიამ გაიზიარა პირველი კომისიის შეფასება 1.2. პუნქტთან დაკავშირებით და კონკურსანტი შეაფასა უარყოფითად.

1.3 - სამსახურებრივი გამოცდილება და 1.4. - პედაგოგიური სტაჟი პუნქტების მიხედვით კონკურსანტი კომისიამ შეაფასა დადებითად.

გამომდინარე იქედან, რომ კონკურსანტის ძირითადი განათლება, სამეცნიერო ნაშრომები ბიოფიზიკაში, სამეცნიერო ხარისხის შიფრი, სამსახურებრივი გამოცდილება და პედაგოგიური გამოცდილება შესაბამება ვაკანსიის პროფილს, კომისიამ ერთხმად დაუჭირა მხარი პირველ კატეგორიის მიხედვით, რომ მარიამ ხვედელიძის კვალიფიკაცია აკმაყოფილებს კონკურსის მოთხოვნებს.

მეორე კატეგორიაში კონკურსანტი აკმაყოფილებს 2.1 პუნქტს, რომელიც ითვალისწინებს პედაგოგიურ გამოცდილებას. რაც შეეხება 2.2 პუნქტს, რომელიც უნდა ასახავდეს კონკურსანტის სასწავლო-მეთოდურ საქმიანობას, მარიამ ხვედელიძემ მიუთითა ერთი წიგნი, რომლის მეათე თავში არის თანაავტორი. მაგრამ წარმოდგენილი წიგნი არ არის არც სახელმძღვანელო და არც სალექციო კურსი. შესაბამისად კომისიის გადაწყვეტილებით ის ვერ ჩაითვლება სასწავლო-მეთოდურ საქმიანობაის ამსახველ მასალად.

მეორე კატეგორიის 2.3 პუნქტში კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსებისა და ტრენინგების შესახებ მითითებულია ენის ცოდნის დონის დამადასტურებელი მოწმობა, რაც კომისიის მიერ არ იქნა გათვალისწინებული, რადგან ის არ შეესაბამება ვაკანსიის პროფილს.

მეორე კატეგორიის 2.4 პუნქტში მითითებულია 9 სასწავლო კურსის დასახელება, რომელთაგან ამჟამად თსუ-ში 4 სასწავლო კურსი იკითხება ბაკალავრიატში, ხოლო 5 მაგისტრატურაში.

მეორე კატეგორიის 2.5 პუნქტში, რომელიც ეხება წარმოდგენილ სილაბუსებს, კონკურსანტს მითითებული აქვს 9 კურსი, მაგრამ არ აქვს წარმოდგენილი არც ერთი სილაბუსი. პირველი კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ კონკურსანტმა გასაუბრებაზე აღნიშნა, რომ არ იცოდა, რომ სილაბუსების წარმოდგენა იყო სავალდებულო. თუმცა ანკეტაშიც მითითებულია - „წარმოადგინეთ დანართის სახით“. კომისიის მდივანმა კომისიის წევრებს შეახსენა, რომ იურიდიული დეპარტამენტის მიერ პირველი კომისიის მუშაობისას გამოვლენილ ხარვეზებშიც აღნიშნული იყო, რომ „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ 2014 წლის 22 დეკემბრის აკადემიური საბჭოს #118 დადგენილების მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად „კონკურსში მონაწილეების მსურველის მიერ ანკეტა შევსებული უნდა იქნეს სრულად და მას უნდა ერთვოდეს ანკეტაში ასახული ინფორმაციის დამადასტურებელი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შედგენილი, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს ან პირის მიერ გაცემული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სხვა აუცილებელი დოკუმენტი ან მასალა.“

იმის გათვალისწინებით, რომ კონკურსანტმა არ წარმოადგინა სასწავლო-მეთოდური საქმიანობის დამადასტურებელი მასალები და სილაბუსები კომისიამ ღია კენჭისყრის საფუძველზე მეორე კატეგორიაში კონკურსანტს მიანიჭა შეფასება „საშუალო“.

მესამე კატეგორიის 3.1. პუნქტში იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციების ჩამონათვალში კონკურსანტს მითითებული აქვს 8 პუბლიკაცია. ანკეტაში

მითითებული ყველა პუბლიკაცია არის სამეცნიერო სტატია და ყველა იძებნება Thomson Reuter-ის ბაზაში ანუ არის იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში დაბეჭდილი. მათ შორის 3 სამეცნიერო სტატია კონკურსანტს გამოქვეყნებული აქვს ბოლო 5 წლის განმავლობაში, რაც აჩვენებს რომ კონკურსანტი აქტიურად მუშაობს ბოლო წლების განმავლობაში. ეს არის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი.

მესამე კატეგორიის 3.2 პუნქტში კონკურსანტს მითითებული აქვს 11 სტატია.

ამ კატეგორიის 3.3 პუნქტით გათვალისწინებული პატენტები კონკურსანტს არ აქვს.

მე-3 კატეგორიის 3.4 პუნქტში მითითებული ინფორმაციის თანახმად კონკურსანტის ციტირების ინდექსი არის 45, h-ინდექსი 4, Publish of Perish-ის მიხედვით ციტირების g-ინდექსი არის 6.

მესამე კატეგორიის 3.5 პუნქტში, სადაც კონკურსანტს უნდა მიეთითებინა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მოხსენებები ბოლო 6 წლის განმავლობაში, კონკურსანტს მითითებული აქვს 4 კონფერენცია, ყველა ნამდვილად არის საერთაშორისო კონფერენციები. რომელთა ვებ-გვერდებიც მითითებულია ანკეტაში დეტალურად.

ორივე კატეგორიის 3.6 პუნქტში ადგილობრივ კონფერენციებზე მოხსენებები წარმოდგენილი არ არის.

3.7 პუნქტის მიხედვით ბოლო 6 წლის განმავლობაში კონკურსანტს მითითებული აქვს 4 გრანტი მონაწილობა. ესენია შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტები.

მესამე კატეგორიის 3.1 პუნქტში "თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან" მითითებულია ორი სამეცნიერო ცენტრი, კერძოდ - ზაარლენდის უნივერსიტეტი (ზაარბრიუკენი, გერმანია) და კომენიუსის უნივერსიტეტი (ბრატისლავა, სლოვაკეთი). აღსანიშნავია, რომ ზაარლენდის უნივერსიტეტთან ის აქტიურად თანამშრომლობდა 2006 წლიდან 2014 წლის ჩათვლით.

მესამე კატეგორიის 3.9 პუნქტში კონკურსანტის მიერ მითითებულია იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში გამოქვეყნებული ერთი ნაშრომი, რომელიც არ წარმოადგინა კონკურსანტმა ნაბეჭდი სახით. თუმცა ანკეტაში მითითებულ ვებ-მისამართზე ეს ნაშრომში იძებნება. აღნიშნული ნაშრომი შეესაბამება ვაკანსიის პროფილს.

მესამე კატეგორიის 3.8 პუნქტის შესაბამისად კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სამოტივაციო წერილში ნათლად ჩანს კონკურსანტის მოტივაცია როგორც სასწავლო ისე სამეცნიერო მიმართულებით.

კომისიამ მიიღო რა მხედველობაში პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი პუბლიკაციები, მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში, საგრანტო პროექტებში მონაწილეობა და უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან თანამშრომლობა, ღია კენჭისყრის საფუძველზე მე-3 კატეგორიის ორივე ნაწილში კონკურსანტს ერთხმად მიენიჭა შეფასება "მაღალი".

მე-4 კატეგორიის 4.1 პუნქტში კონკურსანტს მითითებული აქვს, რომ იგი არის რამდენიმე საერთაშორისო კონკურსში გამარჯვებული, სტიპენდიანტი. აქვე მას აქვს მითითებული 2 სადოქტორო ნაშრომის და 10 სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა. ერთი სამაგისტრო ნაშრომის გარდა, ყველგან მითითებულია როგორც მაგისტრანტის/დოქტორანტის სახელი და გვარი, ისე შესრულებული თემატიკა. მე-4 კატეგორიის დანარჩენი პუნქტები არ არის კონკურსანტის მიერ შევსებული.

მე-4 კატეგორიაში წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე კომისიამ ღია კენჭისყრის საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება ორივე ნაწილში კონკურსანტისთვის მიეცა შეფასება "მაღალი".

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, კონკურსანტს მიენიჭა პრეტენდენტის სტატუსი და გამოცხადებული იქნა გასაუბრებაზე. მიმდინარე წლის 13 იანვარს, მარიამ ხვედელიძეს გასაუბრებაზე მიეცა კონკრეტული შეკითხვები:

**თავჯდომარე:** გამარჯობათ ქალბატონო მარიამ, დაბრძანდით. როგორც მოგხსენებათ, შექმნილი გარემოებების გამო განახლდა კომისია და რადგან კომისიის ბევრ წევრებს არ ჰქონიათ შესაძლებლობა თქვენთან გასაუბრების, იურიდიული დეპარტამენტის წარმომადგენელმა გვიჩვენა, რომ თავიდან უნდა ჩავატაროთ გასაუბრება და ეს არის ჩვენი დღევანდელი შეხვედრის მიზეზი. კომისიის წევრები დასვამენ კითხვებს იმ საკითხებზე, რომლებიც მათ აინტერესებთ. მოდით მაინც დავიწყოთ: თქვენ გაქვთ ფიზიკოსის განათლება, დიპლომი არ იყო მოწოდებული.

**კონკურსანტი:** მე ვიხელმძღვანელებ საიტზე მითითებული მოთხოვნებით, იქ იყო კანდიდატის დამადასტურებელი მოწმობა. შესაბამისად, რაც იქ იყო მოთხოვნა, ის წარმოვადგინე. მე სხვა დამატებით საბუთებთან დაკავშირებით, რომელიც მოვითხოვე კადრებში მითხრეს, რომ არ გჭირდება, რაც არ არის მითითებული. ჩავთვალე, რომ მხოლოდ საიტზე რაც იყო მოთხოვნებში, ის

წარმომედგინა. აგრეთვე საბუთების ჩაბარების დროს სტატია მქონდა მოტანილი და მაშინაც მითხრეს არ არის საჭიროო და უკან წავიღე.

თავჯდომარე: სად გქონდათ ეს სტატია მოტანილი?

კონკურსანტი: საბუთებს რომ ვაბარებდი.

თავჯდომარე: გლობია მომავალში სხვას არ ენდოთ. მაგალითად ანკეტაში წერია სამეცნიერო პუბლიკაცია.

კონკურსანტი: იმ ველში შევსებული მქონდა, სადაც საჭიროა ყველაზე მნიშვნელოვანი პუბლიკაციის მითითება. მე რაც მითითებული იყო ვებ-გვერდზე და დამატებით საბუთები წარმოვადგინე

თავჯდომარე: აი შეხედეთ, 3.8 პუნქტში წერია, საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი გამოქვეყნებული ნაშრომი.

კონკურსანტი: და მე ჩავწერე და ვებ-გვერდიც მივუთითე.

თავჯდომარე: ამის გამოყენებით ჩვენ შევძელით ნახვა და კომისიამ შეაფასა ეს ნაშრომი, მაგრამ წარმოდგენილი ნიშნავს, რომ ამობეჭდილი სახითაც უნდა იყოს და მომავალში გაითვალისწინეთ. ასევე სილაბუსები. როგორც მე ვიცი თქვენ ძალიან ბევრ კურსს კითხულობდით უნივერსიტეტში როგორც ჩანს თქვენი ანკეტიდან და სილაბუსები არ იყო წარმოდგენილი. მაგრამ სილაბუსზე ვერ იმსჯელებს ადამიანი თუ შიგნით ჩახედვის შესაძლებლობა არ აქვს.

კონკურსანტი: მაგრამ ეს სილაბუსები ხომ ჩაბარებულია, მაგით ვხელმძღვანელობ ოფიციალურად.

თავჯდომარე: მერე კომისიამ უნდა მოიძიოს ეს სილაბუსები?

კონკურსანტი: კადრებში ზუსტად ეს მითხრეს, რომ კომისიას თუ დაჭირდება თვითონ ნახავსო.

თავჯდომარე: უბრალოდ დავაზუსტებ, რომ თქვენ გაქვთ ფიზიკოსის დიპლომი, დამთავრებული გაქვთ ფიზიკის ფაკულტეტი და ბიოფიზიკაშიც იყენებთ ფიზიკურ მეთოდებს.

კონკურსანტი: ყოველთვის ვიყავი ფიზიკის ფაკულტეტის ბიოფიზიკის მიმართულების თანამშრომელი.

თავჯდომარე: ერთი კითხვა კიდევ, რომელიც ჩნდება არის საკანდიდატო დიპლომთან დაკავშირებით, იმიტომ რომ იქ წერია ბიოლოგია, ეს აჩენს რაღაც კითხვებს. ამაზე შეგიძლიათ ორიოდ სიტყვით?

კონკურსანტი: კი როგორ არა. მე როცა ვიცავდი საკანდიდატო დისერტაციას, მაშინ იყო ერთობლივი კომისია ბიოფიზიკის, სადაც კომისიის თავჯდომარე იყო ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი ბატონი გია მრევილიშვილი და ეს იყო ერთადერთი კომისია, რომელიც მუშაობდა ბიოფიზიკის მიმართულებით. იქ არ იყო მეორე კომისია. ალტერნატივა არ იყო.

თავჯდომარე: ეს კომისია ზოგიერთს ანიჭებდა ფიზიკოსის დიპლომს, ზოგიერთს ბიოლოგის?

კონკურსანტი: არა, ბიოფიზიკით იძლეოდა მაგ კოდით. ბიოფიზიკა იყო მარტო ეგ ერთი კოდი.

მაგდა ალანია: მაგრამ ზოგს ბიოლოგიის განხრით ანიჭებდა და ზოგს ფიზიკით?

კონკურსანტი: იმ წლებში არ იყო.

თავჯდომარე: ყველას ბიოლოგიას უწერდნენ?

კონკურსანტი: დიახ, თქვენ შეგიძლიათ ნახოთ ჩემს წინ ნუნუ მეტრეველი, ჩემს მერე ირმა ქირიკაშვილი.

თავჯდომარე: ანუ იმ პერიოდში ყველას უწერდნენ ბიოლოგიას. მერე შეცვალეს და ყველას უწერდნენ ფიზიკას. მაგრამ სინამდვილეში ეს იყო ერთი კომისია და ერთი კოდი.

კონკურსანტი: რომლის თავჯდომარეც და მოადგილეც იყვნენ ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორები. ჩემი ოპონენტი იყო ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი.

თავჯდომარე: მაინტერესებს თუ შეიძლება და კომისიის წევრებსაც აინტერესებთ, რა ფიზიკურ მეთოდებს იყენებთ თქვენს კვლევით საქმიანობაში?

კონკურსანტი: ძირითადად კალორიმეტრიას, უფრო თერმოდინამიკური კვლევები და შესაბამისად სხვა მეთოდებიც. მე პირადად მაქვს ურთიერთობა გერმანიაში ნანონაწილაკების მიმართულებით.

დიანა ძიძიგური: თქვენ ეხლა იყავით წასული გერმანიაში. კვლევებით ბრძანდებოდით?

კონკურსანტი: დეკემბერში ვიყავი, კიდევ ახალი უფრო თანამედროვე ჟელატინის ნანონაწილაკების ტექნოლოგია შევისწავლე, იმიტომ რომ გერმანია დაინტერესებულია, რომ ჩვენ აქ სხვადასხვა მეთოდებით შევისწავლოთ თერმოდინამიკურად სტაბილობა. ეს ნანონაწილაკები არის წამლის გადამტანები. ეს ტექნოლოგია ჩვენ ბევრ სტუდენტსაც აინტერესებს, ძალიან ბევრი ამ მიმართულებით მუშაობს და ჩვენ ზუსტად მისი სტაბილობა გვაინტერესებს.

თავჯდომარე: ამ კალორიმეტრიის საშუალებით თქვენ რა პარამეტრებს განსაზღვრავთ?

კონკურსანტი: გადასვლის ტემპერატურა, სტაბილობა, ენტალპია როგორი აქვს და სხვადასხვა პირობებში.

თავჯდომარე: ჩვენთან არის მუშა კალორიმეტრი?

კონკურსანტი: კი

თავჯდომარე: რა ტემპერატურის დიაპაზონში მუშაობს?

კონკურსანტი: 0 გრადუსიდან, ფაქტიურად 10 გრადუსიდან, 0-დან გამოსვლა სჭირდება და 10 გრადუსიდან 150 მდე. ჩვენ 120 გრადუსამდე გვყოფნის. არის სინთეტიური, არის ბუნებრივი ნაწარმები. ეხლა ეს კელატინის ნაწარმები.

ოლეგ ხარშილაძე: ანუ თქვენ თვლით, რომ სამუშაო პირობები გაქვთ უნივერსიტეტში?

კონკურსანტი: რა თქმა უნდა ჯობია, რომ უკეთესი პირობები იყოს, მაგრამ შეძლებისდაგვარად დიანა ძიძიგური: მუშაობთ და აქვეყნებთ

კონკურსანტი: და რაც მთავარია ძალიან დიდი დაინტერესებაა ამ მიმართულებით სტუდენტების.

თავჯდომარე: მე ვნახე თქვენი პუბლიკაციების სია. ბოლო 5 წლის განმავლობაში თუ არ ვცდები 3 თუ 4 პუბლიკაცია იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში გამოქვეყნებული.

კონკურსანტი: ეხლაც დეკემბერში კიდევ იქნება.

თავჯდომარე: საკმაოდ კარგი მაჩვენებელია. კომისიის წევრებს ხომ არ გაქვთ კიდევ რაიმე კითხვები?

დიანა ძიძიგური: ჩვენ ადრე გავესაუბრეთ და საკმაოდ დადებითი შთაბეჭდილება დატოვა.

ოლეგ ხარშილაძე: ლექციასაც მოვუსმინეთ.

ედუარდ ჩიკვაძე: ეს ურთიერთობა რაც ახსენეთ რამდენადაც მე ვიცი, ეს არ არის პირველი შემთხვევა.

კონკურსანტი: გერმანიასთან?

ედუარდ ჩიკვაძე: დიახ

კონკურსანტი: 2006 წლიდან ფაქტიურად ყოველ წელს მიწვევენ ხან დაადით ხან სხვადასხვა პროგრამებით,

თავჯდომარე: ეს რომელ ქალაქშია?

კონკურსანტი: ზაარბრუკენში. იმიტომ რომ ისინი ძალიან კმაყოფილები არიან ურთიერთობით და ჩვენ კმაყოფილები ვართ.

თავჯდომარე: სტუდენტებსაც აგზავნი?

კონკურსანტი: სტუდენტებსაც ვაგზავნი.

ედუარდ ჩიკვაძე: მგონი ჩამოსულიც იყო.

კონკურსანტი: დიახ ზაფხულში გვესტუმრა. და გერმანიას რითი გააკვირვებ და გაოცდა ჩვენი ხელით აწყობილი ხელსაწყოები რომ ნახა, ჩემმა დოქტორანტებმა მხოლოდ დილაკზე ხელის დაჭერის მეტი არაფერი იციანო და ამითი შეაფასა ჩვენი უნივერსიტეტის ეს ჩვენი აღჭურვილობა. იმიტომ რომ ჩვენთან ბევრი დანადგარი არის ხელით აწყობილი.

ედუარდ ჩიკვაძე: თვითნაკეთი.

თავჯდომარე: მე მაქვს ერთი ესეთი კითხვა კიდევ, რამდენადაც ვიცი თქვენ აქამდე იყავით მოწვეული ლექტორის სტატუსით, ასისტენტ-პროფესორის სტატუსით?

კონკურსანტი: ასისტენტ-პროფესორის სტატუსით ვიყავი ადრე.

თავჯდომარე: მერე რაღაც პერიოდში არ იყავით.

კონკურსანტი: არა აღარ ვიყავი, კონკურსში ვერ გავედი.

თავჯდომარე: პარალელურად მე ვიცი, რომ თქვენ სხვაგანაც მუშაობთ. ეს შეთავსებადია ეს ორი საქმე?

კონკურსანტი: ვახერხებ, შეთავსებადია.

თავჯდომარე: იმიტომ რომ ასისტენტ-პროფესორისთვის კიდევ შეიძლება გაიზარდოს დატვირთვა.

კონკურსანტი: მოგახსენებთ, ჯერ ეს ერთი იმის გამო, რომ ისიც სახელმწიფო სტრუქტურაა, დაინტერესებულია. გუშინწინ ჩენი სააგენტოს ხელმძღვანელის მოადგილე აქ დერეფანში ვნახე. ეს არის გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო. მინისტრის პირველი მოადგილე მაია ბითაძე არის აქ იურიდიული დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი. ამიტომ მინისტრის მოადგილე თუ ახერხებს... მე მითუმეტეს,

თავჯდომარე: კარგი პასუხია.

დიანა ძიძიგური: კარგი არგუმენტია

მაგდა ალანია: ალბათ ექსპერიმენტების კეთება ცოტა რთულია პარალელურად ?

კონკურსანტი: ექსპერიმენტების კეთება რთულია. მე მაგალითად შაბათ-კვირას ექსპერიმენტებს ვატარებ. აგრეთვე იმის გამო, რომ სტუდენტები დიპლომის და დოქტორანტები არიან ჩართული, ერთად ვახერხებთ. რაც მთავარია, სამსახურიდან ეხლაც გავენთავისუფლე უფროსს.

თავჯდომარე: მოქნილი რეჟიმი გაქვთ.

კონკურსანტი: თითქმის ყველა კითხვას ლექციებს. მაია ბითაძე ასოცირებული პროფესორია ჩვენი უნივერსიტეტის, სააგენტო უფროსის მოადგილე. სხვები სხვაგან. ეს მისასალმებელია, როცა სახელმწიფო სტრუქტურის თანამშრომლები სასწავლო პროცესში არიან ჩართული.

ოლეგ ხარშილაძე: შეიძლება ერთი კითხვა, სტუდენტებისთვის თქვენი სამსახური თუ შეიძლება იყოს გაცვლის ფორმა, სტაჟირების ფორმა. მოახერხებთ ამას?

კონკურსანტი: კი შეიძლება. იქ დამხვდნენ სტუდენტები, მიკრობიოლოგები. იქ ხდება შესწავლა ჰაერის, წინადაგის. შეძლებისდაგვარად ვეხმარები აღჭურვილობის შეძენაში, რაც ვიცი რომ ის არის.

ლიანა ძიძიგური: თქვენთან გადაიან პრაქტიკებს ჩვენი სტუდენტები.

კონკურსანტი: მე ვხვდები ხოლმე იქ.

ლიანა ძიძიგური: კარგი ლაბორატორია გაქვთ ახალი.

კონკურსანტი: ეხლა კიდევ ვაშლიჯვარში შენდება თანამედროვე სტანდარტების ლაბორატორია.

ლიანა ძიძიგური: ამიტომ ჩვენი ადამიანი იქ რომ გვყავდეს, ძალიან მნიშვნელოვანია.

თავჯდომარე: ამდენად მნიშვნელოვანია ჩვენი სტუდენტების პრაქტიკის მხრივ. თუ მეტი კითხვები არ გვაქვს, მადლობა ვუთხრათ ქალბატონ მარიამს.

კომისიის წევრებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ კონკურსანტმა დატოვა დადებითი შთაბეჭდილება.

კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული პუბლიკაციებით, საგრანტო პროექტებსა და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობით, უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან თანამშრომლობით აშკარა უპირატესობა აქვს მარიამ ხვედელიძეს. ამასთან ერთად დავით სვინტრამემ წარმოადგინა ბევრი დაუზუსტებელი ინფორმაცია საკონკურსო ანკეტაში, სასწავლო-მეთოდური საქმიანობის ნაწილში კი სხვისი შრომები მიუთითა. მისი სამოტივაციო წერილი არ ასახავს მის მოტივაციას სასწავლო პროცესთან მიმართებაში.

კომისიამ დაადგინა:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ინტერდისციპლინური (ფიზიკა) ბიოფიზიკის მიმართულების ასისტენტ - პროფესორის ერთ ვაკანსიაზე გამოცხადებული კონკურსის I (ოქმი N2, N3) და II (ოქმი N6) ეტაპების შედეგების საფუძველზე, ფარული კენჭისყრის შედეგად გამოვლინდა გამარჯვებული კანდიდატი: მარიამ ხვედელიძე - ასისტენტ პროფესორი  
გამარჯვებულად გამოცხადების მომხრე - 6; წინააღმდეგი - არცერთი;
2. კომისიამ იმსჯელა და დაადგინა - ოქმი #8 (შემაჯამებელი ოქმი) დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

კომისიის თავჯდომარე:  
პროფ. ა. შენგელაია

კომისიის თავჯდომარის მოადგილე:  
პროფ. დ. ძიძიგური

კომისიის მდივანი:  
ასოც. პროფ. მ. ალანია


ა. შენგელაია  
დ. ძიძიგური  
მ. ალანია

კომისიის წევრები:

ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახ. ფიზიკის ინსტიტუტის  
მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი ნელი საპოყნიკოვა

ნ. საპოყნიკოვა

თსუ-ს ემერიტუს პროფ. ედუარდ ჩიკვაძე



ასოც. პროფ. ილია ხარშილაძე

